

~~K 662~~
1

შპრბთელი.

Handwritten red text, possibly a signature or date.

აიკლავა თუ არა მოიხსოვს
კერძო საკუთრება მიწაზე.

მოგორ უნდა გადიჭრას ეს საგანი ერთგნულ დემო-
კრიტიული თვალთახედვით?



ქუთაისი.

სტამბა ქართ. შორ. წ.-კ. ვაშავერც. საზოგად.

1917.

144

333.01

699

შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო სა- კუთრება მიწაზე?

(როგორ უნდა გადიჭრას ეს საგანი ეროვნულ-დემოკრა-
ტიული თვალთახედვით?)

სოციალისტები ფიქრობენ, კერძო საკუთრე-
ბა მიწაზე უნდა მოისპოსო.

მათი აზრით სახაზინო, საუფლისწულო და
საეკლესიო მიწები, აგრეთვე დიდი მემამულე-
ების მიწები, რომელნიც ჩამოერთმევა უკანას-
კნელთ უსასყიდლოდ, უნდა გადავიდეს ხალხის,
ე. ი. ერობის ან რესპუბლიკის, ხელში („მუნი-
ციპალიზაცია“ და „ნაციონალიზაცია“) შემ-
დეგ კი საერობო თვითმართველობამ. (ან რეს-
პუბლიკის მთავრობამ) უნდა დაურიგოს მიწის-
უმებს იჯარით.

როგორი იქნება იჯარის რაოდენობა
ჯერ ერთი, რაც უნდა მცირე შემსახლოები
ძიწა მიეზომოს მიწისმუმას, იჯარა მცირე
ქნება თუ დიდი, მაინც გადახდება დასახერო



ბო თვითმართველობის ან რესპუბლიკის სასარგებლოდ.

მაგრამ ამასაც არ აკმაბრებენ. როგორც ვიცით, არიან ბუნებით უფრო ნაყოფიერი და შემოსავლიანი და ნაკლებად ნაყოფიერი და შემოსავლიანი მიწები. ყველაზე უფრო ნაკლებად შემოსავლიან მიწებს გასცემენ, რაც შეიძლება მცირე იჯარით. თვითეულ სხვა მოიჯარადღეს კი მით უფრო დიდ იჯარას (რენტას) გადაადგვინებენ, რამდენადაც აღემატებიან შემოსავლიანობით მისი მიწები ყველაზე უფრო მდარე მიწებს.

როგორც ხედავთ, სხვადასხვა ღირსების მიწებს სხვადასხვა იჯარა ექნებათ და დიდი უფალი და ყველა მიწისმუშა ისე ექნება დაბეგრილი, რომ რაც უნდა კარგი შემოსავლიანი მიწები ჰქონდეს, თითქმის აღარაფერი აღარ დარჩება და შემოსავლის უდიდესი ნაწილი ერობას ან რესპუბლიკას გადაეცემა. იმავე დროს, უეჭველია, ვერაფერი ნუგეში იქნება მიწისმუშათათვის ის, რომ ერობა (ან რესპუბლიკა) ამ იჯარით სკოლებსა და სამ-

კურნალოებს გამართავს, გზებს გაიყვანს და სხ.

დასასრულ, იჯარა, ანუ რენტა, მეტად ცვა-
ლებადი იქნება. ვთქვათ, მოიჯარადრის მიწის
ახლოს გაიყვანეს რკინის გზა და ამის გამო
მამულის შემოსავალმა ძლიერ მოიმატა. ის
ზედმეტი შემოსავალი კი, რომელიც არ არის
მიწისმუშის შრომის შედეგი, არამედ იშობება
მისგან დამოუკიდებელი მიზეზისაგან, უნდა მი-
ითვისოს საეროობო თვითმართველობამ ან რეს-
პუბლიკამ.

ვთქვათ, რესპუბლიკამ (ან საეროობო თვით-
მართველობამ) გაიყვანა სარწყავი არხი და
ძლიერ მოიმატა მოიჯარადრის მიწის შემოსავ-
ლიანობამ. ამ შემთხვევაშიაც თვით ერობა მიი-
ნაყოფებს ზედმეტ შემოსავალს, ე. ი. ზედმეტი
იჯარა გადახდება მოიჯარადრეს.

მაშასადამე, მიწისმუშას არ შეარჩენენ ზედ-
მეტ შემოსავალს, რომელიც იქნება შედეგი
ერობის ან რესპუბლიკის მიერ წარმოებულ
სამიწისმოქმედო გაუმჯობესებათა და იჯარა მით
უფრო მოიმატებს, რაც უფრო შემოსავლიანი
შეიქნებიან მისი მიწები ხსენებულ გაუმჯო-

ბესებათა გამო. ეს კი დიდს არევდარევასა და განხეთქილებას ჩამოაგდებს.

მეორე მხრით, ვთქვათ, მიწისმუშამ აიღო მიწა იჯარით. წარმოვიდგინოთ, რომ ის ზრდის შვილებს ხელოსნებად, ექიმებად, მეცნიერებად. გააკეთებს თუ არა ბალებსა და ვენახებს? გაასუქებს თუ არა მიწას სასუქით? შემორაგვავს თუ არა? დააშრობს თუ არა ქაობებს? გაიყვანს თუ არა სარწყავ არხებს? დაზოგავს თუ არა ტყეს?—არა, რადგან ეცოდინება, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მისი მამული სხვის ხელში გადავა: ერობა (ანუ რესპუბლიკა) მიწებს არ დასტოვებს მისი შვილების ხელში, რომელნიც იჯარის გადახდას ვერ შესაძლებენ, და არც უკანასკნელნი დაიდებენ თავზე ისეთს ტვირთს, რომელსაც ვერ მოერევიან.

შეიძლება გვითხრან: როდესაც მამულები ჩამოერთმევა მოიჯარადრის მემკვიდრეებს, მათ სავსებით დაუბრუნდებათ იმის ფასი, რაც მათს მშობელს გაუკეთებია, და, მაშასადამე, მოიჯარადრე არ მოერიდება სამიწისმოქმედო გაუმ-

ჯობესებას იმ იმედით, რომ მისი შრომის ნა-
ყოფს მისი შვილები მოიპოვიანო.

მაგრამ, ვთქვათ, ერობამ ჩამოართვა მამული
მოიჯარადრის მემკვიდრეს და უზლო მას იმის
ფასი, რაც მამამისს გაუშენებია და გაუკეთე-
ბია. საიდან, რა წყაროდან უნდა იშოვოს ერო-
ბამ გამოსასყიდი ფული? ერთადერთი წყარო
ის იქნება, თუ ახალმა მოიჯარადრემ მომატე-
ბული იჯარა გადიხადა. შესძლებს კი ის ამ იჯა-
რის ძლევას? გამოჰკრეთს კი ახლად შეძენილი
მამულისაგან იმდენ ნაყოფს, რამდენსაც ჰკრეფ-
და ძველი მოიჯარადრე? ეს საეჭვოა, რადგან
ახალი მწარმოებელი თავის დღეში ვერ მოი-
მარჯვებს და ვერ მოიხმარს ისე მისთვის შეუ-
ჩვეველ სამიწისმოქმედო პირობათ, როგორც ეს
ძველ მწარმოებელს შეეძლო. და, თუ კი მან
ველარ გადიხადა მომატებული იჯარა და იმავე
დროს შეუძლებელ მოიჯარადრეთა რიცხვმა
ძლიერ მოიმატა, ერობას აღარ ექნება საშუა-
ლება გამოისყიდოს იჯარით გაცემული მამუ-
ლები.

ეს კიდევ არაფერი. წარმოვიდგინოთ, რომ

მოიჯარადრემ ვერ გადიხადა იჯარა თავის დრო-ზე. უეჭველია, ამგვარი მოვლენა ხშირი იქნება. რასა იქმს მაშინ ერობა? ჩამოართმევს მას მიწას? და, თუ ჩამოართმევს, — გაუმჯობესების ფასიც რომ უზღოს, — ხომ სილატაკეში ჩაადებს მიწისმუშას, რომელსაც იჯარით აღებულთ მამულის მეტი არა გააჩნია-რა?

მაგრამ მოუწესრავებლობას აქაც არ მოვლდება ბოლო. ვთქვათ, ზოგიერთი მოიჯარადრე, მისი შვილი და შვილის-შვილები წესიერად იხდიან იჯარას. მეორე მხრით, ჩამოართმეული მამულები, როგორცა ვთქვივთ, უფროდაუფრო დიდი იჯარით უნდა გასცენ. ამგვარად გამეფდება საშინლად უსამართლო, უწესო დაბევრვა: ერთს მამულს რომ დიდი იჯარა დააწვება, მეორე მამულს, რომელიც არ ჩამოუვარდება შემოსავლიანობით პირველს, ბევრად უფრო მცირე იჯარა ექნება დადებული; იქნებიან, მაშასადამე, უპირატესობამოსილნი და უპირატესობამოკლებულნი მოიჯარადრენი, არსობისათვის ბრძოლის პირობები უთანასწორო იქნებიან და მომავალ დემოკრატიულ-სოცია-

ლისტურ რესპუბლიკაში აუარებელი უმამულო, ბოგანო პროლეტარი გაჩნდება.

იმავე დროს საუკუნო იჯარა, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვება მოიჯარადრესა და მის შვილთა და ჩამომავალთ, ხელს შეუშლის მამულების გაუმჯობესებას; მიწისმომქმედთ აღარ ექნებათ გაკეთებისა და გაუმჯობესების ხალისი, რადგან, ჯერ ერთი, მთელს მათს შემოსავალს იჯარა შთანთქამს, და, მეორე, მიწას აღარ ჩასვლის ის თავის ხელშეუხებელ საკუთრებად, არამედ მიიჩნევს მხოლოდ დროებით მითვისებულ ქონებად, რომელიც ადრე თუ გვიან სხვის ხელში გადავა. ერთი სიტყვით, მას წაერთმევა კერძო საკუთრების მიერ შობილი გულისთქმა, რომელიც აქვხებს მწარმოებელს ამშენებლობისა და გაუმჯობესებისათვის.

თვით სოციალდემოკრატიები არ ფიცავენ, რომ წვრილი მიწისმუშების უმეტესობა ბოლოსდაბოლოს აუცილებლად გაკოტრდება და უმიწაწლოდ ანუ პროლეტარად შეიქნება. მაგრამ ნუგეშად იმას გვისახავენ, რომ მიწის-მუშა, რომელსაც საკუთარი მიწა აღარ ექნება, ქირ

იშოვის დიდს მოიჯარადრე მემამულესთან. მათი ფიქრით, დიდი კაპიტალისტები, რომელთა ხელშეწყობით მოიყრის თავს მიწების უდიდესი ნაწილი, ისე გააუმჯობესებენ სამეურნეო წარმოებას. რომ საშუალება ექნებათ შედარებით მეტი ქირა აძლიონ დაქირავებულ მუშებს, ვიდრე ის, რასაც აძლევენ პატარ-პატარა მიწის-ნაჭრები მათ პატრონებს. ერთი სიტყვით, პროლეტარები უკეთ იცხოვრობენ, ვიდრე მესაკუთრე წვრილი მიწისმუშები და გაპროლეტარება სრულიადაც არ მოასწავებს. გაღატაკებასო.

მაგრამ გაპროლეტარება, მიწაწყლის დაკარგვა რომ ბედნიერებას ვერავის მიანიჭებს, ეს ცხადი და უეჭველია.

დასასრულ დიდი დავაა სოციალდემოკრატიების ორ ბანაკს შორის იმის შესახებ, ვის უნდა ეკუთნოდეს მიწები, მუნიციპალიტეტებს, ე. ი. სამაზრო ან საქალაქო თვითმართველობათ, თუ მთელ რესპუბლიკას, ანუ სახელმწიფოს.

ერთი ბანაკი ამბობს, მიწები მუნიციპალიტეტებს უნდა გადაეცესო, ე. ი, თვითეულ მაზრას (ან ქალაქს) ექნება უფლება მიითვისოს

რენტა (იჯარა) იმ მოიჯარადრეთაგან, რომელთაც ამ მაზრაში ექნებათ მიწები. მაზრის წარმომადგენელთა ხელში იქნება, მაშასადამე, მთელი იჯარის მოხმარების საქმე.

მეორე ბანაკი ამბობს: მმთელი იჯარა სახელმწიფოს ანუ რესპუბლიკის ხაზინაში უნდა შედიოდეს და რესპუბლიკის მთავრობამვე უნდა განაწილოს მიწები მაზრებს შორისო.

პირველი ბანაკი სამართლიანად ამბობს: რესპუბლიკის მთავრობას რომ ჩავუგდოთ ხელში მთელი მიწა-წყლის განაწილება და მთელი იჯარა, იგი ისეთს ძალასა და უფლებას მოიპოვებს, რომ ადგილობრივ თვითმართველობათა და კერძო პირთ აღარავითარი თავისუფლება აღარ შერჩებათო. უეჭველია, რომ ეს ასეც იქნება.

მეორე ბანაკი კი ამბობს: თუ სამაზროს ან საქალაქო თვითმართველობათ მივანდობთ ერთმანეთს შორის მიწების გამიჯნვასა და განაწილებას, შეუძლებელი იქნება მათი შერიგება, რადგან მიწა ზოგან ბევრია, ზოგან ცოტაა, ზოგან უკეთესია, ზოგან უფრო მდარეა, და საშინელი მოუწყვსრიგებლობა და განხეთქილება

ჩამოვარდებაო. ცხადია, რომ მართალს ამბობს მეორე ბანაკიც.

მაშასადამე, ორივე ბანაკი მართალს ამბობს ერთმანეთის შესახებ, ე. ი. ორივე მხარე ცდება. მათი შეცდომის წყარო კი ის არის, რომ უარყოფენ კერძო საკუთრებას. და, პირიქით, მხოლოდ მაშინ აღარ იქნება უფოთი, განხეთქილება და სისხლის ღვრა, როდესაც თვითოეულ მიწისმუშას ექნება თავისი საკუთარი მიწა-წყალი, ე. ი. აღსარებული იქნება კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა.

განვიხილოთ ახლა სოციალისტ-რევოლიუციონერებისა და სოციალისტ-ფედერალისტების აზრი. მათი ფიქრით, მიწები უნდა ჩამოერთვას უსასყიდლოდ მემამულეებსა და გადავიდეს საზოგადოების ხელში. შემდეგ საზოგადოებამ უნდა მიუზომოს თვითეულს მიწისმოქმედს იმდენი მიწა, რამდენის დამუშავებაც მას საკუთარი ხელით შეუძლია („სოციალიზაცია“). საზოგადოება გაუნაწილებს მიწისმუშებს ამავე წესით სახაზინოს, საუფლისწულოსა და საეკლესიო მიწებს.

არავის არ უნდა ჰქონდეს უფლება გაყიდოს, იყიდოს, დააგირავოს ან გასცეს იჯარით მიწა. ერთი სიტყვით, უნდა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე.

მიწების განაწილება შიენდობა სასოფლოს ან საქალაქო თემებს, ან თვითმართველობათ. რამდენიმე სოფლის მორიგება, მათ შორის მიწების გამიჯნვა ან საერთო მოხმარება, თავისუფალ მიწებზე დასახლების მოწესრიგება და სხ. იქნება ხსენებული სოფლების ან მთელი რესპუბლიკის მიერ არჩეული პირების საქმე.

მიწისმუშას უნდა გადახდეს საზოგადოების ან რესპუბლიკის სასარგებლოდ რენტა იმისდა მიხედვით, რამდენადაც აღემატება მისი მიწების ბუნებრივი შემოსავლიანობა მცირეშემოსავლიანი მიწების შემოსავლიანობას.

ზოგიერთი მიწა, მაგალითად, დიდი ტყეები, დიდი საძოვრები, სათევზაო ადგილები და სხ. უნდა დარჩეს საზოგადო ხმარებაში და მათი გამგებლობა უნდა ჩაბარდეს საზოგადოების მიერ არჩეულ პირებს.

მადნები უნდა შეადგენდეს რესპუბლიკის საკუთრებას.

ცხადია, რომ ეს პროგრამა მეტად გაუგებარი და ბუნდოვანია. ის კი, რის გაგებაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, აუსრულებელია, შეუძლებელია.

უპირველესად შეუძლებელი იქნება შერიგება სოფელთა ანუ სასოფლო საზოგადოებათა და, მაშასადამე, მათ შორას საშინელი განხეთქილება ჩამოვარდება.

მეორე მხრით უცნაური და უსამართლოა თვით საფუძველი მიწათა განაწილებისა. მაგალითად, ვთქვათ, მიწისმოქმედს ჰყავს ხუთი მუშა-კაცი და, მაშასადამე, შეუძლია დაიმუშაოს საკმაოდ დიდი მიწა. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ მისი შვილები გარეთ გავიდნენ: ზოგმა ვაჭრობას მიჰყო ხელი, ზოგი ქარხანაში შევიდა, ზოგმა კიდევ სხვა ხელობა აირჩია. მაშინ კი მათს მამას, უეჭველია, დაეკარგება ხალისი მამულის გაკეთებისა და გაუმჯობესებისა, რადგან ეცოდინება, რომ მის შრომას მისი შვილები ვერ მიინაყოფებენ. შეიძლება გვითხ-

რან: როდესაც ვისმე ჩამოერთმევა მამული, მაგვირად იმის საზღაური მიეცემა, რაც მას ან მის წინაპრებს გაუკეთებიათო.

მაგრამ, თუ კი მამულის ყოფილ პატრონს გაუმჯობესების ფასი მიეცემა, საზოგადოებამ ამ სასყიდლის რაოდენობა, ცხადია, ახალ მიწისმოქმედს უნდა გადაახდევინოს. მაშასადამე, ბოლოსდაბოლოს აღარ იქნება ისეთი მამული, რომ გადასახადი არ დააწვეს მძიმე ტვირთად, და იგივე უწესობა გამეფდება, რომლის შესახებაც ზევით გვქონდა საუბარი.

იმავე დროს გაჩნდება კიდევ ერთი ახალი მიზეზი არევედარევისა და უწესობისა. გვეუბნებიან: თვითეულ ოჯახს იმდენი მიწა უნდა მიეცეს, რამდენიც შეუძლია დაიმუშაოს საკუთარი ხელითო. მაგრამ, ზოგიერთს ოჯახს მუშა-ხელი ბევრი ჰყავს, ზროხა, იარალი და ფული კი ცოტა მოეპოვება. როგორ უნდა მოიქცენ მაშინ? რა ზომით უნდა მიუზომონ ვისმე მიწა? მუშათა რაოდენობისა თუ ზროხის, იარალის, ფულისა და სხ. რაოდენობის მიხედვით?! რასაკვირველია, ვერაოდეს ვერ გვეტყვიან ამის

პასუხს სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალისტ-ფედერალისტები!

ეს კიდევ ცოტაა. ვთქვათ, საზოგადოებამ ჩამოართვა მიწა მემამულეს სასყიდლის ზღვევით და გადასცა მიწისმოქმედს იმ პირობით, რომ უკანასკნელმა მისი საზღაური წვრილ-წვრილად გადაიხადოს. წარმოვიდგინოთ, რომ მან ვერ აასრულა ეს პირობა. ჩამოერთმევა თუ არა მიწა? თუ კო, მაშინ ხომ უარყოფილ იქნება პრინციპი, თვითეულ მიწისმოქმედს მემდენი მიწა უნდა ეჭიროს, რამდენიც შეუძლია დაიმუშაოს საკუთარი ხელითო!

ამასთანავე მიწების ხანგამოშვებითი გაყოფა მიწისმუშათა შორის, ე. ი. ის გარემოება, რომ ზოგს ჩამოერთმევა ნაწილი მიწებისა, ზოგს მთელი მიწა-წყალი, ზოგს მიემატება, ზოგს მცირე სასყიდელი მიეცემა გაუმჯობესების ფასად, ზოგს უმეტესი, ზოგს არაფერი და სხ., წარმოშობს ისეთს განხეთქილებასა და სისხლის ღვრას, რომლის მსგავსი ჯერ არ უნახავს დედამიწას.

იმავე დროს ლოზუნგი, „მიწა მხოლოდ მიწისმუშასო“, ყოვლად შეუწყნარებელია, რადგან

მოასწავებს კაცობრიობის დანაწილებას უცვა-
ლებელ ჯგუფებად, „კასტებად“. ძველ ეგვიპტე-
ში მიწისმუშა ვერ შეიცვლიდა თავის ხელობას,
როგორც ვერც რომელიმე სხვა ხელოსანი. ყო-
ველი ხელობა მემკვიდრეობით გადადიოდა.
ამიტომ, საზოგადოებრივი ცხოვრება გაყინულ-
გაქვავებული იყო. და, უეჭველია, თუ კი მი-
წისმუშის მიწა დაეკარგება ხელობის გამოცვლის
შემდეგ, მიწისმუშადვე დარჩება და ახალი უცვა-
ლებელი, გაქვავებული სოციალური ჯგუფი.
კასტა, გაჩნდება. მაგრამ ნუ თუ თანამედროვე
დემოკრატიას შეეფერება ძველისძველი, ეგვიპ-
ტისებური სოციალური ანაგების იდეალად და-
სახვა?!

ერთი სიტყვით, ვერც სოციალისტ-რევო-
ლიუციონერები და სოციალისტ-ფედერალი-
სტები სჭრიან მიწათმფლობელობის საგანს ისე
როგორც შესაძლებელი და აუცილებელია.

დასასრულ, როგორც სოციალ-დემოკრატე-
ბი, აგრეთვე სოციალისტ-რევოლიუციონერებ
და სოციალისტ-ფედერალისტები ამზობენ ბო-
ლოსდაბოლოს მთელი მიწა უნდა გადავიღე

სახელმწიფოს ხელში, ყველა მიწისმუშამ ერთად უნდა იმუშაოს, მთელი შემოსავალი საერთო ბედლებში უნდა შეიკრიბოს და თანასწორად უნდა იქნეს განაწილებული მიწისმუშათა ოჯახების წევრთა შორისო. ერთი სიტყვით, კერძო საკუთრება მიწაზე სრულიად უნდა მოისპოს და განხორციელდეს **სოციალიზმი**.

მავრამ რა მოხდება მაშინ? ჯერ ერთი, ბევრი, ვისაც აკლია თადარიგის გრძნობა და შრომისმოყვარეობა, არ იმუშავენს და მძიმე ტვირთად დააწვება მშრომელ ხალხს.

იმავე დროს შეუძლებელი იქნება თანხმობა, ერთი პირი, ერთსულობა. თვითეული მიწისმუშა ისე მოინდომებს საქმის კეთებას, როგორც გონება გაუჭრის, და გაუჭირდება ხელი აიღოს საკუთარ ნებასა და სურვილზე და დაემორჩილოს სხვების ბძანებას. ამიტომ ისეთი განხეთქილება და შეფოთი ჩამოვარდება, რომ გაერთიანებული მუშაობა შეუძლებელი შეიქნება, ერთად შეკრებილი საზოგადოება ისევ დაიშლება და მიწა კიდევ დაიჭრება და განა-

წილდება მიწისმუშათა შორის კერძო საკუთრებად.

დაფუგდოთ ახლა ყური ეროვნულ დემოკრატებს.

თუ მემამულეს დაწესებულ რაოდენობაზე მეტი მიწა არ აქვს, არაფერი არ ჩამოერთმევა.

ვთქვათ, საზოგადოებამ დააწესა, რომ თვითეულ მემამულეს შეუძლია ჰქონდეს ასი ქცევა ავ-კარგად. ნამდვილად, მთელი საქართველოს მიწაწყალი რომ თანასწორად გავანაწილოთ, თვითო ოჯახს გაცილებით მეტი შეხვდება.

ეს ასი ქცევა მისი ხელშეუხლებელი საკუთრება იქნება.

ვერავინ ვერ ჩამოართმევს ამ მიწას და მას სრული თავისუფლება ექნება დაიმუშაოს საკუთარი ხელით, გასცეს იჯარით, გაყიდოს და სხ. ვაჭრობას ან ხელოსნობას რომ მიჰყოს ხელი, ჩამოერთმევა თუ არა მამული? სრულიადაც არა. მიწისმუშებად რომ არ აღზარდოს შვილები, ჩამოერთმევათ თუ არა უკანასკნელთ მიწები? რასაკვირველია, არა.

ვთქვათ, მამულის პალრონი ხედავს, რომ

ურჩევნია გაჰყიდოს მიწა და შეიძინოს სხვა ქონება. უნდა ჰქონდეს თუ არა ამის უფლება? რასაკვირველია, უნდა ჰქონდეს.

უნდა იქნეს თუ არა დაბეგრული და დატვირთული მიწა—როგორც სოციალ-დემოკრატებსა და სხვა სოციალისტებს სწადიათ—შიძიე იჯარით, ანუ რენტით? ცხადია, რომ არა, რადგან ამგვარი იჯარა გააკოტრებს მიწისმუშებს, ხელს შეუშლის მიწისმოქმედების გაუმჯობესებასა და გამოიწვევს, მაშასადამე, საყოველთაო დამშევას.

ამგვარად ეროვნულდემოკრატიულ პარტიას აუცილებლად მიაჩნია დარჩეს ხელშეუხებლად კერძო საკუთრება მიწის გადაჭრილს, განსაზღვრულ რაოდენობაზე, რადგან კერძო საკუთრება აქეზებს შრომის ხალისსა და ათავისუფლებს მამულის პატრონს ათასგვარი შევიწროებისაგან. ერთი სიტყვით, კერძო საკუთრება უნდა იქნას თავისუფალი შემოქმედებისა და მისი უფროსი გაუმჯობესებისა.

დროს ჩვენ დიდ ბოროტებად ვსთვლით, აუარებელი მივწათა მოყრლია ერთი

მესაკუთრის ხელში, რადგან, ჯერ ერთი, ძნელია დიდი მამულის მოვლა და, პირაქით, დამტკიცებულია, რომ წვრილი მესაკუთრე უკეთ აუმჯობესებს მამულსა და, მეორე, ხალხის გამრავლება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნული სხეულის ზრდა-განვითარებისათვის, უმთავრესად მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მიწა დანაწილებულია წვრილ მიწისმუშათა შორის. დიდი მამულების თავმოყრამ კი მცირეოდენი მესაკუთრის ხელში (ლათინუნდიებმა) დალუბეს ძველი რომი და შექმნეს დღევანდელი ცხოვრების ძირითადი უკუღმართობანი.

ამიტომ ჩვენ ვამბობთ: ვისაც დაწესებულ რაოდენობაზე მეტი მიწა აქვს, უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს მიწისმუშეის კერძო საკუთრებად.

მაგრამ, ცხადია, ეს ჩამორთმევა ერთბაშად კი არ მოხდება, არამედ თანდათანობით.

თუ დიდი მემამულე დარწმუნებული იქნება, რომ მიწა უსაზღაუროდ ჩამოერთმევა, აღარ

გააუმჯობესებს, შეაჩერებს ყოველსავე ამშენებლობითს მუშაობას.

ამას გარდა უსაზღაუროდ მიწაწყლის ჩამორთმევა ერთბაშად გააკოტრებდა მემამულეებსა და ყველას, ვისი ვალიც მათ აქვსთ. გააკოტრდებოდენ, მაშასადამე, საადგილ-მამულო და სავაჭრო ბანკები და აუარებელი ვაჭარ-მრეწველი და ფულის პატრონი, დაიკეტებოდენ ქარხნები და გაჩნდებოდა საშინელი ეკონომიური კრიზისი, ე. ი. საზოგადო კოტრობა და მოუწესრიგებლობა, და, მაშასადამე, შიმშილი. და ამ რეფორმას გადაელობებოდენ წინ, როგორც დიდი მემამულენი, აგრეთვე ყველა, ვინც მათთან მჭიდრო ეკონომიური კავშირით არის შეერთებული.

დასასრულ, დიდი უსამართლობა იქნებოდა, ერთბაშად გაგვესაწყლოებია და ჩაგვეგდო უმწეო მდგომარეობაში მთელი კლასი, რომელიც განსაზღვრულ ქონებრივ პირობათ მომარჯვებიან და შესწევვიან მათზე დამოუკიდებელ ისტორიულ პირობათა გამო.

მაშასადამე, მამულების ჩამორთმევა მხოლოდ

იმ პირობით იქნება შესაძლებელი, თუ მემამულეთ მიუზღავენ ჩამორთმეული მიწაწყლის ღირებულებას, ე. ი. არაფერი არ ჩამოერთმევათ უსაზღაუროდ.

მეორე მხრით, ჩამორთმეული მამულები უნდა დაიქრას და გადაეცეს წვრილ მიწისმოქმედთ.

რა პირობით?

ჯერ ერთი, ისინი მოვალე იქნებიან გადაუხადონ მამულების ღირებულება რესპუბლიკას წვრილ-წვრილად რამდენიმე ათი წლ.ის განმავლობაში. ამ გადასახადებისაგან შესდგება ის თანხა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება დიდი მამულების გამოსყიდვა.

მეორე, წვრილი მიწისმუშები თავისუფალი იქნებიან ყოველისავე სხვა იჯარისა და რენტისაგან და მათი დიდი უმრავლესობა ადვილად შესძლებს მითვისებულ მამულებზე დადებული ვალების გადახდას.

მესამე, ყოველწლიური გადასახადი იქნება უცვალბებელი, კიდევაც რომ მოიმატოს მოიჯარადრის მიწების შემოსავლიანობამ სახელ-

მწიფოს ან ერობის მიერ წარმოებულ გაუმჯობესებათა გამო.

და, მეოთხე, ეს მით უფრო ადვილი იქნება, რომ მიწაწყალი მიეცემა მიწისმუშებს კერძო საკუთრებად. თვითეულს მათგანს ეცოდინება, რომ, მაგალითად, ორმოცი წლის შემდეგ მისი მამული საუკუნოდ თავისუფალი იქნება ყოველივე ვალისა და იჯარისაგან და მის მიერ შექმნილ გაუმჯობესებას მისი შვილნი და ჩამომავალნი დაიმკვიდრებენ და, მაშასადამე, მოცილოე არ ეყოლებათ. ერთი სიტყვით, ის წამქეზებელი სულიერი ბიძგი, ანუ მიდრეკილება, რომელსაცა შობს კერძო საკუთრება, გააასკეცებს შემოქმედებითს ძალას და ხელს შეუწყობს მიწისმოქმედების გაუმჯობესებას.

დაგვრჩა განსახილველად კიდევ ერთი მეტად ძნელი საგანი. რა პირობით უნდა მიეცეს მიწისმუშებს სახაზინო და საუფლისწულო მიწები? სციალისტები ფიქრობენ, რომ მიწისმუშებმა ამ მიწების ხმარებისათვის საუკუნო იჯარა უნდა აძლიონ რესპუბლიკას, ან საერობოს ან სასოფლო თვითმართველობათო.

ჩვენი ფიქრით კი ხსენებული მიწები უნდა მიეცეს მათ კერძო საკუთრებად.

იმავე დროს შეუძლებელია, რომ ეს მიწები მთლად ჩამოერთვას რესპუბლიკას უსასყიდლოდ. ეს რომ მოხდეს, ხაზინა გაკოტრდება, ხაზინის გაკოტრება კი აუარებელ მესაკუთრეს გააკოტრებს და მთელ საზოგადოებას განსაცდელში ჩააგდებს. ჩვენი ფიქრით, სახაზინო მიწისმუშებს უნდა მიეცეს უსასყიდლოდ სახაზინო მიწების იმდენი რაოდენობა, რომელიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის, დანარჩენი ნაწილი სახაზინო მიწებისა კი უნდა მიეცეს მათ იმ პირობით, რომ მისი ფასი და სარგებელი წვრილ-წვრილად იხადონ რამდენიმე ათი წლის განმავლობაში. შემდეგ კი მიწები — მათს ხელ შეუხებელ საკუთრებად დარჩება. უნდა აღვნიშნოთ ამასთანავე, რომ ამ ფასში არ შევა და მესაკუთრეს გამოსასყიდად არ გაუხდება იმის ღირებულება, რაც გაუკეთებია და გაუშენებია.

იმავე დროს რესპუბლიკა აპატივებს, არ გადაახდევინებს წლიურ გადასახადს გაჭირვებაში

ჩავარდნილ მიწისმუშებსა და, საზოგადოდ, ხან-გამოშვებით შეამცირებს მათზე დადებულ ვალს იმისდა მიხედვით, თუ რა მდგომარეობაში იქნება ხაზინა.

ვის საკუთრებას უნდა შეადგენდეს გამოსასყიდი სახაზინო მიწების გულში დამარხული მადნები?

— რესპუბლიკის საკუთრებას. მაგრამ მიწისმუშას უფლება ექნება შეისყიდოს იმავე წესით, რა წესითაც მოხდება მიწის ზედაპირის შესყიდვა.

მეორე მხრით, მადნები, რომელნიც აღმოჩნდებიან სახაზინო მიწების გულში მიწების გამოსყიდვის შემდეგ, მიწისმუშების საკუთრებად დარჩებიან.

ამგვარივე უფლება ექნებათ მადნებზე იმ მიწისმუშებს, რომელთაც მიეცემათ კერძო მემამულეთა მიწები.

მიწებისა და მადნების შეფასებას მოაწესრიგებს თვით რესპუბლიკა.

ოქროსი, ვერცხლისა, პლატინისა და რადის მადნები — რესპუბლიკის საუკუნო საკუთრებას უნდა შეადგენდეს.

რაც შეეხება თავისუფალ სახაზინო მიწებზე

ახლად დასახლებულთ, რესპუბლიკამ სხვერპლი უნდა გაიღოს და მათ ყოველგვარი შემწეობა უნდა აღმოუჩინოს.

ამგვარად, მაშინ როდესაც სოციალისტებს სურსთ მიწისმუშები საუკუნოა მოიჯარადრეებად გადააქციონ, ეროვნულ დემოკრატიას სურს გახადოს იგინი კერძო მესაკუთრეებად, რადგან სწამს, რომ პატრონი მხოლოდ მაშინ გააუმჯობესებს სამიწათმოქმედო წარმოებას, როდესაც ეცოდინება, რომ მამული არ ჩამოერთმევა არც მასა და არც მის შვილსა და ჩამომავალს.

მეორე მხრით, ის, რასაც სოციალისტები პირდებიან ხალხს, — განუხორციელებელი ოცნებაა, ჩვენს სამიწათმოქმედო პროგრამას კი საფუძვლად უდევს ერთსადიმავე დროს კერძო საკუთრების ხელშეუხლებლობა და მისი დემოკრატიზაცია, ანუ გახალხოსნება, ე. ი. მტკიცე, რეალური ნიადაგი, და მისი განხორციელება, მაშასადამე, შესაძლებელი და საუკრებელია.



